

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის,  
სპორტისა და ტურიზმის კომისიის ანგარიში 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დამტკიცდა 2022 წლის 21 იანვარს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო შემდეგი საკითხების განხილვა:

1. კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი);
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ (თებერვალი-მარტი);
3. „ვანის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის მომზადება (თებერვალი-მარტი);
4. ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ „სულორი ვანის“ დირექტორის ინფორმაციის მოსმენა 2022 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადების შესახებ (მარტი);
4. ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა (მარტი-აპრილი);
5. ა(ა)იპ „სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობისა და 2022 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მარტი-ივნისი);
6. ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობისა და 2022 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მარტი-ივნისი);
7. ა(ა)იპ „კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის“ დირექტორის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობისა და 2022 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მარტი-ივნისი);
8. ა(ა)იპ „სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების“ დირექტორის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობისა და 2022 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (მარტი-ივნისი);
9. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ დირექტორის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ და ინფორმაციის მოსმენა ახალი სეზონისთვის მზადების შესახებ (მაისი-ივნისი);
10. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2021-2022 სასწავლო წლის შეჯამების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (ივნისი-ივლისი);
11. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა (წლის განმავლობაში);
12. კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება (წლის განმავლობაში);

13. 2022 წლის სპორტული შედეგების შეჯამებისა და კულტურული მიღწევების თაობაზე ინფორმაციის მოსმენა (ნოემბერი-დეკემბერი);

14. კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა სამუშაო გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ (ივლისი, დეკემბერი).

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის კომისიის 8 სხდომა, მათ შორის 12 რიგითი, განხილულია 12 საკითხი, რომელთაგან ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანილია 12 საკითხი; მიღებულია 2 დადგენილება, მოსმენილია 5 ანგარიში.

კომისია შედგება 11 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრი წარმოადგენს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“, 2 წევრი ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობას, ხოლო 1 წევრი უფრაქციოა.